

შპშპშპ

შპშპ

იხიარკილტხლი
ქუჩნალი № 8

20 თებერვალი, 1917. შპშპ, 10 კპპ

ეოკელ კვირეული გაძოცემა

1173



რუსეთ-ჩინეთის საკითხი.

რუსეთსა და ჩინეთს შორის
შავმა კატამ გაირბინა.
(შავმა კატამ, თორემ შავ-ყავს
იქ ხომ მკვიდრი უძევს ბინა.)

ჯერ რუსეთმა წარუვლინა
ეგრეთ წოდებული „ნოტა“.
სწერდა: „ჩემო მეზობელო,
გიჯობს შემოკლდეო ცოტა.“

ყურს არ უგდებ, ძველთაგანვე ხელ მოწერილ პირობასო, და აყენებ ჩემ ინტერესს ბევრგვარ გასაპირობასო.

თუ კვლავ ისე მოიქცევი, როგორც გუშინ, როგორც დღესო, ჩემის აზრით, ხელწერილის დარღვევა იქნება ესო.

ამ თავითვე შევუდგები მე საქირო მზადებასო, და გრთხოვ ფრთხილად დაუკვირდე ამ ჩემს „წინადადებასო.“

ხატაველი გააოცა კილომ ეგზომ მეზობლურმა, „წინადადებას“ დახედა და მისწერა უბედურმა:

— ჩემო ტურფა მეზობელო, მოვისმინე, რასაც მწერო. რით შემატყვევებ ორგულობა ეგრე რატომ შემომწყერო.

მე პირობას, რასაც დავდებ, კიდევ ავასრულებ მასო და ეს შენი გაფრთხილება აბა მითხარ რასა გავსო?

ლაპარაკი აღარ უნდა, აშკარა და ცხადიაო, რომ შენ ჩემთან, ხატავეთთან, კენწლაობა გწადიაო,

მაგრამ ვკითხოთ აღუტანტებს შავ-ყამსა და ხოლერასო, გამოცდილნი ბრძანდებიან და გვიჩვენენ ნეტა რასო.“

წინ წამოდგა შავი ქირი და ხოლერას მისცა ხელი. უთხრა: „ძმაო საყვარელო, კარზე გვადგას განსაცდელი.

ხომ უყურებ, მეზობლები ილესავენ კბილებსაო...“

სჩანს ტყვიასაც მიმართავენ დახე ცოდვის-შვილებსაო.

ამოსწყვეტენ ერთმანეთსა ჩვენ დავრჩებით უქმათაო, ერთი კაციც არ დავგრჩება სასაუბრე ლუკმათაო.“

ხოლერამაც ტკბილი უთხრა და შეთანხმდენ, შეპკრეს პირი, რომ ქვეყანას ააშორონ მოძმეთაგან გასაპირო.

დეპუშები.

ბათუმი, ქართული საღამოს გამგეები ცივს უარზე დგან და ამბობენ: საღამო მახინჯთა გამოფენით არ დაწყებულა, პირიქით, მოწვეულნი ბანოვანნი კ მესხის მხარის დასამშვენებლათ იყვენ სცენაზეო.

ქიათურა. ეს ერთი ხანია ქუთაისიდან მრეწველთა სიეზდის საბჭოს კრებული, კიტას წანამძღლოდით, არ ჩამოსულა. მიზეზი დაგვიანებისა ის ყოფილა, რომ სეირნობის დროს მარხილი გადაბრუნებით და მარჯვენა ხელის ცერები უღრძვიათ. უცეროთ, მოგვხსენებათ, კარტის თამაში ძნელია და სხვა საქმე ხომ ქიათურაში არაფერი აქვთ. ამან ფრიალ დააღონა ადგილობრივი სპორტსმენები: ა. აბაშიძე, გ. ნანეიშვილი, ქორქაშვილი და სხვ.

ქველონი ბ-ნი ბოზილგევი მწარე ცრემლით შესთხოვს მეუფეს, რომ კვლავ მოანიჭოს რკინის გზის ლიანდაგს ერთი, ან ორი საყენი თოვლი. საქმე იმაშია, რომ ამ ვაჟბატონმა შეგნებულათ ისარგებლა ადგილობრივ მუშათა შეუგნებლობით. კიდევ რო უსმ ნოს ღმერთმა და ვერაფერი გაუგონ მუშებმა, კაცი გახდება შეძლებული

ბორჯომი. ადგილობრივი მუშების გონებრივი წინსვლა მდევის ნაბიჯით მიიწევს. მთავარ—ანგელოზის კავშირის იდეალებისაკენ. ამ წინაზე დადგინეს: „ვინაიდან მონტიორ ლაპტიევის დაბრუნება არ შეიძლება, მოიწვიონ მქადაგებლათ: პავ ნოზაძე, მიხ. ლაცაბიძე, მაქ. პიატაკოვსკი და ვალ. ზელინსკი.“ ვინ იცის აუსრულდებათ ნატვრა და თოვნა, თუ არა! კლდე.

პატარძლეული. მისაბაძი საქმე მოიმოქმედეს ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებმა. მთავხსენებათ, სამკითხველო ამ ბოლო დროს ვეღარავის იზიდავდა, რადგან წიგნები მოძველდენ და ხალხიც უზომოთ განათლდა. ამიტომ მწერლის წინადადებით წიგნები იმის ბინაზე გადაიტანეს, ხოლო წიგნების საწყობი აგურხანათ, ანუ აგურის საწყობათ გახადეს. სხვა სოფლები, სადაც სამკითხველოს ბედი მწერლების ხელშია, იმედია მიბაძავენ ამ სამაგალითო გონება მახველობას და სამკითხველოებს აგურის საწყობებათ გადაქცევენ.

გარეჯელი.

სამტრედია. ექიმმა ჯაშმა დიდი ფხა გამოიჩინა დაბის გასუფთავებაში. მისი მეოხებით, გადამდებ სენით მიცვალებულნიც კი გააქვთ სახალხო მატარებლებით.



იქიდანვე. რკინის გზის სკოლი:ს გამგე ვალო-
დიმ კატეგორული უარი განაცხადა „მაკლენკის-
ტოა„ საზოგადოების თავმჯდომარეობაზე, ვინაიდან
კარიკატურის შემდეგ ძლიერ მოფარებულ ალაგებ-
ში უწევდათ ჯდომა

იქიდანვე ფიალკოვსკის აფთიაქი მოწაფე
ქალს სიცხისაგან გული შეუწყუბდა. აფთიაქის პატ-
რონი ათას ხატზე იფიცავს, რომ ეგ შეუძლებელია,
რადგან მთელი ზამთრის განმავლობაში იქ ცეცხ-
ლი არ დამინთიაო ამას სამტრედიელნიც დაამოწ
მებენ.

იქიდანვე წ კ გამ. საზოგ. გამგეობამ ყვე-
ლაზე უფრო მოხერხებულ დღეთ, საზოგადო კრ-
ბის მოსაწვევით 30 თებერვალი ამოარჩია.

იქიდანვე. შეზარხოშებულმა . . . *)

.
.
.
.
ფოსტალიონს მხოლოდ ყბა დაუშავდა და ისიც
დიდათ არა
.
. გამოდება
.
აღბათ.

იქ დანვე ჯიხაიშელ ქველმოქმედ გიორგი
ლორთქიფანიძის მაგალითმა აქაც ბევრს აღუძრა
საღერღელი, თავისი სახლები უსასყიდლოთ დაუ-
თმონ თანამედროვე გასართობებს უსაქმო ინტელი-
გენტთა თავ-შესაქცევათ.

იქიდანვე. როგორც ამბობენ პირველ მარტს
ახალი ჰაეროპლანით აპირობენ აფრენას ცნობილნი
ავიატორნი ქართველიშვილი და ამხ.

ფოთი. ადგილობრივი ვაჭრები შესაფერი გან-
ცხადებით მირიგრაგენს სადაც ჯერ არს, თოთხ-
მეტი ნოემბრის კანონის განსახორციელებლათ.

იქიდანვე მოსალოდნელი წყალდიდობის გა-
მო ქალაქის თავი პეტრებურგს მიემგზავრებ. იმედია
იზუამდგომლებს, რომ ლანქერით მოზღვავებული
რიონი არ ჩაერიოს მისდამო რწმუნებული ქალა-
ქის საშინაო საქმეებში. **)

*) უნდა გამოვიტყდეთ, რომ არც ჩვეულებრივსა და
არც შეზარხოშებულ ბოქალზე წერის ცფლება არა გვაქვს.
რედაქცია.

**) უ იძლება ბ-ნ ნიკოლაძეს ცოცხალი თევზების ჩა-
მოყვანა უნდა ფოთის ქუჩებში მო აშენებლათ!

ეშმაკი.

ელოცველი.

კაცი ვინმე, ქრისტიანი,
გახდა ერთხელ მძიმე ავით,
და რა მორჩა, წარემართა
მონასტერში სალოცავათ.

შერავიდა სახლად უფლის,
ლოცვა-სრემლით ცხარით დადნა
და ღვთის მშობლის ძველ ხატის წინ
მოკრძალებით წარიგრაგნა.

დაიჩოქა, ეამბორა,
ჰყო ვედრება, კრძალვა დიდი
და აუნთო ხატს სანთელი
ერთი ღერი, მუნ ნაყიდი.

უკუ რა სდგა მოწიწებით
და პირჯვარი გაღისახა,
იქვე, ახლოს, ხატის გვერდით,
სურათი რამ დაინახა.

დააქტერდა..... იმისთანა
თქვენმა მტერმა ნახა ავი,
რაც მას თვალწინ წარმოუდგა
საშინელი სანახავი:

ჩაფრენია ბელზებელი
ვილაც ცოდვილ ბერ-მონაზონს...
აღარ ითქმის კაცის ენით,
მუჯღღუგუნს სცემს მას თუ რაზომს,

და მიათრევს ჯოჯოხეთში,
სად კუპრია და გენია,
მარა ბერი არ მიჰყვება...
სჩანს საშობხე ურჩენია.

შეკრთა კაცი, რა იხილა
ეშმაკი და იგი ბერი,
ქრუანტელმა დაუარა,
დაავიწყდა ყველაფერი.

შიშის ოფლში გაიწურა,
არც აცხელა, არც აცივა,
ბელზებელის შეეშინდა,
თორემ სიკვდილს აღარ ჩივა.

(რაგინდ ბევრიც იფაფხურა,
შიშთან ანკი რა გაგივა,
მით უმეტეს თუ შენს თავზე
ეჭვი გაქვს და გული გტკივა!)

განუცადა სატანჯველი...
კაცის ფერი აღარ ჰქონდა,
მარა უცებ, საამღრვო,
ერთი ხერხი მოაგონდა:

დასწვდა სანთელს... მოიწმინდა
ცივად ოფლი მოღვარული
და დაუნთო ერთი ეშმაკს...
(შიშმა იცის სიყვარული!)

კითხა კაცმა, მოყურადემ:
—ვის მსახურებ, რომელ ერთსო,
ჯოჯოხეთის მბრძანებელს, თუ
ქვეყნის გამჟინ მაღალ ღმერთსო?*

იმან ასე უპასუხა:
—რავქნა, ჩემო ძამიაო!
ეს სანთელი ამ ეშმაკთან
მიიხედინე, ქრთამიაო!

ვიცი, შემდგომ სიკვდილისა,
კაცის დამამხობელისო,
ჯოჯოხეთი, ან სამოთხე,
ორში ერთი მომელისო.

თუ რომ სამოთხეში მერგო
სამუდამო ბინა მეო,
იქ ღვთის დედა მიპატრონებს,
კრემლით მისთვის ვინამეო;
და, თუ ჯოჯოხეთში დავრჩი,
ბელზებელი მიგდებს ყურსო,
და ეშმაკიც, გაიხსენებს,
მაშინ ამ ჩემს ნამსახურსო.“

მოყურადემ ასე უთხრა:
—„ტყვილათ ნუ იღრიკებო,
საიქიოს არ გაგივა,
ორქოფული ხრიკებო!“!

ა. ბლიკვაძე.



დეპეშები.

ფოთი. 8 თებერვალს, საღამოს სხდომაზე მიმავალი ხმოსანი კინალამ დაიხრჩვა მიხაილოვის ქუჩის მოსახვევში. თუ არ დიდი კალოშები, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

იქიდანვე. ინტელიგენციას ინციატივის უნარი აღმოაჩნდა. ერთმა ჯგუფმა თავს იდვა სიშვილი-

შვილო საქმე და ქალაქის ხიდი გასწმინდა თოვლისაგან. რასაკვირველია უფრო „შელავათიან“ ფასებში, ვიდრე ამას მუშები აპირებდენ.

მუჯლუგუნი.

ჭიათურა ბ. ბ. გიგია ბრეგვაძეს და წერეთელ-ოთხმეზურს განზრახვა აქვთ, ახლო მომავალში შემოიღონ შავი ქვის სარეცხ ქარხანაში 37 საათის სამუშაო დღე; მაგრამ ვინაიდან ძველი წესისამებრ დღე და ღამეში მხოლოდ 24-ი საათია, დადგენილ იქმნა, კოლექტიური თხოვნით მიმართონ სახელმწიფო საათთბიროს, რათა შემოღებულ იქმნას დღე და ღამეში 37 საათი

თუ სახელმწიფო სითათბირომ მათი თხოვნა შეიწყნარა, —საქმე გაიჩარხება.

ზედა რგანი მოხდა ჰაერობლანებით გაჯიბრება. მიუხედავად ძლიერი ქარისა და აგრეთვე მძიმე ტვირთისა *) ყველაზე შორს გაფრინდა ბათუმისკენ ბ. ინე ჩერნიავესკი დანარჩენი „ავიატორები“, რამდენიმე წუთის ფრენის შემდეგ დაეშვენ. ყველანი უხიფათოდ გადარჩენ

ჭიათურა. მოხ ა. გ. ბრეგვაძე—წერეთლის და ამხ ქარხნის მუშათა კრება, რომელზედაც გამოტანილ იქმნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „ვინაიდან თვითელი ხაზინათაგანი „კერძოთ, გულწრფელად“ ეფუცებთან მუშებს, „სამუშაო დღის გ-დიდების წინააღმდეგობაში“, ხოლო განცხადებაში საერთოდ დაჟინებულ მოითხოვენ ახალ, —სამუშაო დღით მომატებულ პირობებში მუშაობას, —თხოვს ეშმაკთა საბჭოს, რათა გამოგზავნილ იქმნას ხსენებულ ქარხანაში დასადგმელათ ერთი „მახე“... რომლის საშვილებითაც შეამოწმებენ ხაზინების „გულწრფელობას“.

იქიდანვე ადგილობრივ დრამატ. საზოგადოების სცენის მოყვარეების მიერ წირმოდგენილ იქმნა: „ძუნწი“. წარმოდგენას დაესწრენ: 5-დღე კაცი, ერთი ძალი და 150-დღე სკამი. უკანასკნელნი წესიერებას სამაგალითოდ იცავდნ.

იქიდანვე. ეს რამდენიმე ხანია, რაც ძლიერი დელვის გამო, ჭიათურის ქუჩებში, სამგზავრო გემების მიმოსვლა შეწყვეტილია ერთი კვირაა ფოსტა არ მოსულა ..

იქიდანვე, კვირას, 13 თებერვალს, მუშა მაქსიმე კინწურაშვილმა, ბახუსის კრემლით თავი მოიწამლა. ექიმების აზრით მისი გამობრუნება საეჭოა.

*) ბ. ჩერნიავესკის „ჰაერობლანი“ სარეცხი ქარხნის მუშათა ქაჩარით იყო დატვირთული.


თავის მოწამელის მიზეზათ, ამ დღეში მიღებულ ჯამა-
გირს ასახელებენ.

იქიდანვე. ბრეგვაძის „ტაბელიკის,“ — ბ
გიორგი წერეთელს ტენის ქაფილი დაემართა, რის
გამოც ძალზე აკლო მუშების ნამუშავეარ დღეების
წერას დახმარების აღმოსაჩენად, რადგან ბ. ექ. ჯა
ფარიძე არ ა-მოინდა ქიათურაში—მოწვეულ იქმნა
ქიათურის ეშმაკთა საბჭოს, (თფილისის განყოფ)
ერთი წევრი, რომელმაც გაშინჯვის შემდეგ ავათ
მყოფს გამოუწერა უებარი წამალი,—სპერმაკუდი-
ნი. წამალს დღეში ხამჯერ მიადებინებენ, ათ-ათ
წვეთს, ნახეცარი საათით ადრე, წერის დაწყებამდე.
ენახოთ, როგორ იმოქმედებს. .

იქიდანვე. ქიათურის ეშმაკთა საბჭოს, (თფ. გან-
ყოფ) წევრებს, ეს რამდენიმე ხანია, უცნაური ამ-
ბები მოსდით ქიქაურიდან ბ ესიაშვილზე და აგრე-
თვე დარკვეთიდან ფრანგების ქარხნის გამგე, —ტა-
ბურიას შესახებ.

საბჭოს დადგენილებით გამომძიებელი კომისია
გაიგზავნა ორივე ალაგას.. შედეგს დეპეშით გა-
ცნობებთ ..

მანსელიძე.



კ ა ე შ ა ნ ი

(ვუძღვნი პავ. იაშვილს.)

„ოხ, რა კარგი ხარ,
ოცნებავ ტკბილო!“

ბედითი დენილს, გულ დაწყვეტილს
კაცთა სიავით,
მანუგეშებლათ შენლა მივი,
ოცნებავ ტკბილო;
მხოლოდ შენ ძალგის, ლბილ ფრთებ-გაშლილ
სევდის ნიავით,
დამხსნა ვაებას, ცრემლთა ხევი
გარდამაცილო...

შენსა გარეშე
ჩემო კეთილო,
სხვა არვინა მყავს,
რომ ვემშობილო...

ან კი მითხარი: ვის მიემართო,
ვინ შემობრალებს,
ვინ შემიმშრალებს
ქუჩისა შეილს
ცრემლიან თვალებს..,

აღამიანი?! მერე, ესმის მას
სხვისი კვნესა?
არას დროს! მაგრამ... სჯობს გაეცნო
კარგათ სოფელსა...

შენ კი, სულ სხვა ხარ საყვარელო,
ნეტარ ხსენებავ,
ხან სუმბულს ჰგევხარ, გაშლილ სუმბულს,
ტურფა ქედისას,
ხან ცის ანგელოზს, კაბა ქრელო
ჩემო ოცნებავ,
და ხან სამშობლო მთის გაცრეცილ
ნისლსა სევდისას.

ყველაფერი ხარ,
და მიყვარხარ,
ვით სატრფო გულის...
შენათ მიიღე,
ჰა, წარიღე,
ტკივილი წყლულის...
ისწრაფე ჩემსკენ ზესთა სულო,
ლალ ფრთებ გაშლილო,
შორს წარმიტაცე, სოფლის საზღვრებს
გარდამატარე...
თან ცრემლი მომაქვს არ დამიშრო
შეგების სიცილო,
ამ ცრემლში ვბოვე, რაც დავკარგე,
დავასამარც...

გ. ქუჩიშვილი



ნაღირობა

ბამოსვლა II

ოთხშაბათი დილა იდგა,
საუცხოვო, სანეტარო!
მზე მთის წვერზე შემჯდარიყო
სინათლის და სითბოს წყარო,
(რომ იქითგან უფრო კარგათ
დაენახა ეგ სამყარო!)

ნიავე არ ქიკეიკობდა*)
არც ოთახში, არცა გარეთ,
არც ფრინველნი მოილხენდენ,
ბაასობდენ ერთობ მდარეთ,
მხოლოდ ვირი, დატვირთული,
კრემლსა ღვრიდა „ობოლს“, მწარეთ.


გამურული მენახშირე
ვირს მისდევდა ჯოხით ხელში,
თორნის პურის ნახევარი
ამაყათ გაერქო წელში...
და ჯოხისა მეოხებით
ვირს ავდებდა განსაცდელში.

აი, ამგვარ ტურფა დილას
მე კვლავ ვაველ სანადიროს...
თავსა ვგრძნობდი, ერთი ვირთხა
თითქო კიდევ დამეჭიროს ..
(გული მიცემს ვაჟაკური,
ოდეს „მახე“ ხელთ მეჭიროს).

მართლაც, დახეთ მანჯურისა
რა დღე ადგას, რა ამბავი...
ვირთხებმა და შავმა ჟამმა,
უცილოდ აიგდეს თავი:—
ხალხსა ისე განაგებენ,
ვით სტრაჟნიკი და პრისტავი.

კეთილ საქმის სამოქმედოთ
არ მოესულვარ ციდან ქვეყნად,
„ხალხსა ვიხსნი სიკვდილით“—თქო,
ეს არ მიმაჩნს დასაკვენად..
მე მსურს: მრევლი არ მომესპოს,
რომ ბოროტი კვალად შევქნათ.

მიეუჩოჩდი ერთ ხაზინას,
სადაც ოქრო უხვად ეწყოს,..



ჯერ არც ვისა დაეთვალოს,
არც საწყავით გადაეწყოს,
სად, ეგ კერპი აღამისა,
ბევრიც სქამოთ, არ დაეტყოს.

მუნ ვირთხების მთელი გროვა
დამსუნაბობს, დაძრწის მირად ..
დანაქარბი სიმსუქნისგან
შევების ოფლი დასდით ღვარად,
ზღვა ქანქარი თითქო მათთვის
შექმნილ იყოს გასახარად.

გამოვუდგი, შორი-ახლოს,
მათ მაცლური ჩემი მახე...
შიგნით ქისა ჩამოვკიდე
ზედ ქანქარი გამოვსახე
და კვლავ, თვალით ბედნიერით,
ერთი სასწაული ვნახე:

გამოცოცდა ერთი ვირთხა,
გამოცოცდა ნელა, ფრთხილად...
უცებ მოჰკრა ქისას თვალი,
(რო ეკიდა გაბერილად..)
და იმისი ტრფიალება
ჩაუარდა გულს სახმილად.

ჯერ დაზვერა არე-მარე,
ცხვირით ყნოსვა დაახშირა..
თითქო იგრძნო უცხო პირი,
უკან წასვლა დააპირა,
მაგრამ ქისა დიდი იყო,
დარდმა ლამის აატირა.

კვლავ დაყნოსა, განუტკვრიტა,
გულში ეჭვი განიქარვა...
იმედი აქვს მოახერხოს
იქ შეძრომა, გამოპარვა...
ოსტატურათ უსწავლია
ოქროსა და ვერცხლის პარვა!)

მე კი, შორით მოყურადეს,
ვერაგულათ მიცემს გული,
ვნატრობ: „მომცა ეგ ვირთავვა
მაგრათ ვათოკ-ვაბაწრული,
რომ მივიდე „უპრავაში“
პირზე ღიმილ გადაკრული.“

გზაზე შესდგა ის ვერანა,..
აღბათ საფრთხე უგრძნო გულმა..
შემდგომ მცირე მოფიქრების
კვლავ გასწია ბედით-კრულმა ..
სჩანს საფრთხე და განსაცდელი
სძლია ოქროს სიყვარულმა.

*) უნდა გამოვიტყდეთ, რომ წაბაძულობა დიდი მსუ-
ნავი რამეა. მეც თითქმის, ჩემდა უნებურათ, ამ ლექსს
დეკადენტების ყაიდაზე ვაშენებ.

შეიარა „მახის“ კარი,
 სამასპინძლოთ განაღებ
 ვაჟკაცურათ იყურება
 ოფლით სახე შენაღები,
 უმალ ქისას მიაშურა,
 რომ ხელთ იგდოს წასაღები
 მაგრამ დახე განკვიფრებას,
 მყის დაეხშო კარი მახის..
 დიდ ქისასთან, დიდი ვირთხაც
 შიგ მოემწყვდის, შიგ ინახვის.
 „ქურდი, მთხლეზე დაქერილი“
 „მიშველეთო“ არ იძახის.

და როცა მე დამინახა
 მიმავალი მისკენ მედგრათ,
 მან თვალთ-მაქტურ ფაფხურობას
 მოუმატა მეტის მეტათ,
 წვერ უღვაში დაიგლიჯა
 ეგზომ ძნელი ჭასამეტათ
 შემეხვეწა: გამომეშო
 აქ შემთხვევით მონახვედრი,
 სიხარულზე შემეცვალა
 მე იმისი მწარე ხვედრი.
 მაგრამ მე არც მოვისმინე
 ეგ იმისი შენავედრი.

მოვახსენე: „ამაოა
 ესე ყველა ნაუბარი,
 ველარ გიხსნის სიკვდილისგან
 ვერც ქრთამი, ვერც საჩუქარი
 მსურს მათრახით განვიხილო
 ბეჭი შენი ნასუქარი“

მივუყვანე „უზრავაში“
 ის, ნიკოლოზ არღუთაშვილს,
 ვირთხების და ვირთაგვეების
 გარჩევაში კარგათ დაცდილს...
 გასამრჯელოდ მოველოდი
 უზალთუნსა ერთს, თუ ორ წყვილს.

მან შეხედა... გაიოცნა...
 შემოირტყა თავზე ხელი...
 შუბლს ნაოჭი გადაიკრა,
 სახეს მძიმე სატანჯველი..
 და გამიბა ჩემს ვირთხაზე
 საუბარი ფრიად ვრცელი:

— ნუ თუ, თითონ ვერ შეატყვეთ
 ფერზე ვირთხას, სახაზინოს?
 ნადირობის ტრფიალობამ
 როდი უნდა შეგვეცდინოს...
 ეგ ჟამის მხრივ უშიშია,

დე წარვიდეს მოილხინოს.“
 არ მეამა ეს ამბავი
 მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავდი:
 უნდა ვირთხა გამომეშო,
 ურჩობას ვერ ვაგებდავდი.
 თვალთა ცრემლი მომეგუბა
 ზღვა კაემანს სიმწრით ვკლავდი
 გამოვუშვი და წამოველ
 გულში ოღლათ ანატირი:
 აღარც აგი გამომადგა
 ვირთხა სიმწრით დანაქირი!

ეშმაკი.



* * *

ზამთრის დღე იყო—სასტიკი, ცივი,
 მტრედის ფერ ცაზე მზე არ ბრწყინავდა,
 თოვდა და თოვდა შეუჩერებლივ,
 მთა-ბარი მძიმე თოვლს ქვეშ გმინავდა:

სიცოც-შიმშილი შეწუხებულნი
 ჩიტები ქოხმანთ ეფარებოდენ
 და იქ, წყნარ-მყუდრო ლაფაროვებში,
 საკენკს ეძებდენ, დაფრთხილობდენ.

მაგრამ, საბრალო ბუნების შევილებს,
 სადაც ნახავდენ, ზოახელებდენ,
 განურჩეველაა კაცნი, თუ ქაღონი,
 უწყალოთ ჟღერდენ, არ იბრალებდენ!
 მე შორ-ახლო ვიდექ, შევეცქერდი
 და ბრძოლის ველი მაგონდებოდა,
 სადაც ასობით, და ათასობით
 ნორჩი სიცოცხლე იჟლიტებოდა.

და გულმოკლოული მწარეთ ვიძახდი,
 ჩანთქმული შავ ფიქრთ ზღვათა უფრსკულში
 „ეხ, უღმობელო ადამიანო,
 როდის ჩაკვდება მხეცი შენს გულში?!“,

გ.რუხაძე.

უჩვეულო თოვლი ქუთაისში

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს, ის ძნელათ დაიჯერებს, თუ რა სანახაობას წარმოადგენდა ქალაქი ქუთაისი იანვრის ბოლო რიცხვებში.

უხვად მოზევებული თოვლის საბანი ერთი

საყენის სიმაღლეს უწევდა. თითქმის ყოველგვარი მოძრაობა და მისვლა-მოსვლა შესწყდა ახლო-მახლო სოფლებთან, საიდანაც შემოაქვთ ქალაქში სხვა და სხვა სანოვავე. დაახლოებით 20 დღის განმავლობა-



ში განუწყვეტლივ აყრიდა საბრალო ქალაქს თავზე *) თოვლის ფიფქსა და თეთრ სამარეში ასამარებდა.

საყენი თოვლი ხუმროხა საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ ქუთაისში ხშირათ ქუჩების სივანეც არა კარბობს საყენს.

სახლის სახურავებიდან ქუჩაში გადმონასროლი

*) აქ კორესპონდენტს პატარა შეცდომა შეპარვია ჩვენის აზრით ვინაიდან მაშინ ქუთაისს თავი არა ჰქონია.

ეზმაკი

თოვლისაგან მთელი მთავრები იყო გაწოლილი, რომლის თავზედაც იმერული, მოღრეცილ მარხილებს დაათრევედნ ძვალ-ტყავათ ქცეული ცხენების საშვალბით. თითქმის ერთი თვის განმავლობაში მთელი ქალაქი ლანძღვაგინების ასპარეზს წარმოადგენდა, ვინაიდან ვიწროთ გატკეპნილ მთის მწვერვალზე მხოლოდ ერთ მარხილს თუ შეეძლო მშვიდობიანათ გაძრომა და როცა ორნი ერთმანეთს შეხვდებოდნ პირვილ ყოვე-

ლისა ერთმანეთს ლანძღვით უმასპინძლებოდნენ. ახლა არ ვიცით რა სანახაობას წარმოადგენს ქუთაისის ქუჩა, მაგრამ იანვრის დამლევს ის სწორეთ ასეთი იყო.

რომ ჩვენმა მკითხველმა ცხადი წარმოადგენა იქონიოს საგანზე, ამისათვის ჩვენ ვბეჭდავთ ნამდვილ სურათს ქუთაისის ერთ-თრი ქუჩისას. ეს გახლავთ ვორონცოვის ქუჩა, რომელიც ბულვარის ბოლოს გადს მიუხედავთ იმისა, რომ ის არც თუ მაგდენათ ვიწროა, თოვლის სიმაღლე აქ ორ საყენსაც წააცილებდა და რომ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელი გაეხადათ, მოხერხებული და გონება მახვილი ვაჭრები აკეთებდნენ ეგრეთ წოდებულ გვირაბებს ანუ „ტუნელებს“.*)


ერთი ამგვარი „ტუნელი“ არის გამოხატული ჩვენ სურათზე გვირაბის შესასვლელთან დგას რამოდენიმე ადგილობრივი მოვაჭრე, ხოლო ტუნელის თავზე მოსჩანან მუშები და ბავშვები ნიჩბებით ხელში

ამ გვირაბს, სურამის გვირაბის მიბაძულობით, აწერია „წიფა“.

რა დაუჯდებოდა ქუთაისს ეს განსაკვირვებელი სიუხვე ზეცისა ძნელი სათქმელია, რადგან მთელი თვის განმავლობაში აუწერელი სიძვირე ჩამოვარდა ყოველგვარ საქირო საქონლისა. ზმა,

*) „ტუნელებსა“ და სოროვში ძროზა ჩვეულებრივი გასართობია ქუთათურებისათვის.

„ჯერ არს: არა იცოდეს მარცხენამან უნება, თუ რასა იქმოდეს მარჯვენა უნენი“



პირველ გიმნაზიის დირექტორის ბ.ნი გამყრელიძის „გადაღვამა“
ბ არ ს კ ლ ა ვ ს .

შენ რაღასა კრთი, რას ციმციმებ, რაზედ კიანათებ, როს ცხოვრების ველს ვერ მიშუქებ, ველარ მინათებ? როს კვალად ლუკუმ-ბნელწყვდიადი ზარავს ობოლ სულს, როს აღარ ხედება შვების სხივი ტანჯულ-გვემულ გულს?..

ბარემლა ჩაქრი!.. და შესწყვიტე ცილი, — კრთოლვა, ბედისა საზღვარს გადააკვდეს შავ-ფიქრთა ლტოლვა, .. დე შორსა ვლიდეს ჩემი რაში ცის დასავალზე, შავ-ღრუბელთ ზღვაში ინთქებოდეს ეკლიან გზაზე. ნუ გენანები!.. ჩემი ყოფნა ისეც მწარეა... ან რათ ვინადვლი, თუ ცხოვრებაც კი საძარეა?..
ბ. პელაშვილი.

ზ ა მ თ ა რ შ ი

(ს ყ რ ა თ ი).


ქარი დაჭროდა ვერაგი,
 თოვლი დაედგა გორათა,
 მისი ველური კეთიანი
 ისმოდა შორის-შორათა.
 ფერდოს მოჰგვიდა ბუქებსა,
 ატრიალებდა სვეტათა,
 ხან სადღაც შთაინთქებოდა,
 ხან ზრზენდა მეტის-მეტათა.
 ტყეში თითქოსა მღეროდა,
 კლდეს ტაშსა სცემდა ხმინასა,
 მინდორში დავლურს ურბენდა,
 ქაჯს ჰგავდა სიკვდილიანსა...
 მთასაც მოველო წვერზედა,
 სერები გადაირბინა,
 ვით დაკარგულმა მერანმა,
 ორწოხში დაიხვივინა.
 ძირს გადმოვარდა, ვით გრგვინვა,
 მძიმე რამ, უებარია—
 და მეს ჩასკვნილი მისი ხმა,
 თითქოს ალ-ქაჯთა ჯარია!...
 მდინარეს ჩაუშხუილა.
 დაუწყო საუბარია,
 ხან წყევლა ისმის, მუქარა,
 იმედ წარმღები ზარია,—
 ხან ხმა მორჩილი მუდარა
 კვნესა-სიცილი მწარია.
 ა-იქ სოფელში შევარდა,
 სადღაც შეაღო კარია,
 ერდოში ამოისუთქა,
 ბელელს ესროლა მჩვარია...
 ლეწვის და მტვრევის ხმა ისმის
 და ბორგვა საოცარია...
 **

არავინა სჩანს გარეთა,
 ძაღლიც არ დაინახება.
 თოვლი სძევს გორის სიმაღლე,
 თუნდ სპილო დაისახება...
 ...მდინარისაკენ, სოფლიდან
 ერთ გადასარბენ მანძილსა,
 შეშლილისავით დაცეკვავს
 ქარი, შლის თავის მანდილსა;
 აბორიალებს თეთრ კაბას,
 ბუქნაობს, აქნევს ხელებსა.—

შორით მოისმის ხანდისხან
 კნავიან, ჰშიათ მელღებსა...
 ქვევით, მდინარის ნაპირას,
 სჩანს რაღაც კედლის მსგავსია,
 კარს თუ შეამჩნევ, სხვა ყველა
 ბუქით, ნამქერით საესია.
 საღვარეც მოსჩანს, ეტყობა,
 უნდა ვხედავდე წისქვილსა;
 ქარიც იქ დაბამბარუზობს,
 ჰგავს გაცოცხლებულ სიკვდილსა.
 ხან გადასცდება იმ ადგილს,
 განზრახ, თუ თავის თავათა,—
 ბუნდათ ემჩნევა იქ, მაშინ,
 რაღაცა გღია შავათა!!...
 თითქოს ხელს ვხედავ გამოწვდილს,
 თავიც ეტყობა ოდნათა...
 თვალნი ხედვასა მტაცებენ,
 გული ვერ მიმწევს ცოდნათა!...
 **

დაბლობზე ბინდი დაეცა,
 ფიქრს მოსცემს ღამისებურსა;
 სერებზე მგლები აყმუვლდენ,
 ამბობენ თავისებურსა!
 სოფელსა სძინავს, ძილითა,
 ქარი დაბორგავს წყევული,
 ხან დაიწვილებს—გაქრება
 როგორც დამფრთხალი გრძნეული...
 საზარლათ დაითათხება,
 არ უჩანს დიდი სხეული;
 თან დააქვს ცოდვის უსტარი,
 თეთრ ჩაღრში გამოხვეული...
 ერთგანაც ზღუბლთან მიმდგარა,
 ურდულს უსინჯავს კარებსა,
 თან ჯადო ხმებით უამბობს
 წისქვილს დანაბარებსა!!!

3. ტუქსიშვილი.



გამოცანები.

(დიდი-ჭიხაიშისთვის.)

კხვირი გრძელი, ქუა მოკლე,
 გულბოროტი—კუდა მელა
 ამხანაგათ გაუხდია,
 გაქლესილი გოგიელა.
 საზოგადო საქმესა მტრობს,
 უნდა ძირი გაუთხაროს
 სხვის სიავეს ისე უმზერს
 სიხარულსა, და ვით წყროს!

გაბერილი, ვითა რუმბი,
 დატრიალობს, როგორც ჯარა.
 ხალხს ექიმობს. თეთრი ცხენით
 დადის იგი მეტიჩარა.

ხელობაზე ეს უვიცი
 თვით სატანის ნაკურთხია.
 მისი ღვაწლი, მოქმედება
 ყველასაგან საფურთხია!

არც ქალია და არც კაცი,
 თუმცა მამათ იწოდება.

ფეხ კოჭლი და ნამუს მრული
 ხშირად ქალებს უსაფრდება.

ბაზრად დადის, ლამაზების
 უყვარს თვალის პაჭა-პუჭი
 და ბევრს იტევს ყველამ იცის
 კურთხეული მისი კუჭი!

„დანოსებს“ წერს განუწყვეტლათ
 ამით იკლავს გულის ქავილს,
 ყველა ისე ერიდება,
 ვით ხოლერას, ჟამს და ყვავილის!

მას წამბაძიც გამოუჩნდა
 ბრწყინვალე შტოს ერთი ღერი!
 „სტარშინობა“ ვისაც უნდა,
 ხელს მათრახი დასაჭირი.

ცდომით ქვეყნად გაჩენილა,
 შუბლით ბრტყელი, ნამუს მოკლე!
 შავრაზმელობს, დურმიშხანობს,
 ტონი, ანუ თემისტოკლე!

ჩვენში არის აზნაური,
 სხვა ქვეყნებში მაზე მეტი!
 „გენერალობს“ მუდამ ცროუბს
 უტიფარი და ჩერჩეტი!

სანამ შესძლო ხალხი ძარცვა,
 ყველგან დასდვა თვისი დამლა,
 ახლაც უნდა—რომ უძახონ
 „ჩენი მამა! ჩენი ალა“

აქაც არის, იქაც არის,
 ლაპარაკობს, სულ ფაფხურობს!
 ხალხი, როგორ დაივიწყებს
 თფილისში მის სამაჯურებს!

„ინკოგნიტო“



№-ს.

უმანკობას და სისპეტაკეს
 თითქოს თაყვანს სცემ კრძალვით მოსილი,
 სხვა მხრივ, სხვა გზას სდევ და ის კი გინდა
 იმათ წილში რომ გქონდეს წილი!

კარგა ხანია ეს უკვე ვიცი,
 საიდუმლოის გაგიტყდა კარი...
 ჩემს წინ საკითხად გარდაიშალა
 შენი ცბიერი გულის ფიცარი!

„გველის ალერსი“! იუდას ტრფობა!
 მხოლოდ ეს ორი მას აწერია,
 ჯოჯოხეთის შეილს სამოთხისაკენ
 მითხარ ხელი რათ გაგიშვერია?!

რ. ლეჩხუმელი.

ნუგეში.

როს მნათობთ მეფე დისკო გადახრით
 ცას უკანასკნელს სხივებსა სტყუცნის
 და ვით მიჯნური განშორების ჟამს,
 ნაზ-ტურფა გულ-მკერდს გადაუკონის,
 ბუმბერაზ მთანი ღალაღებითა
 საბაღნაროზე გადიშლებიან,
 ოქროთ ფერილი ღრუბლის ქულანი

ცათ ატყოცნილ მთებს მოევლებიან.

მუქ ცის მკერდზედა მოჟუჟუკენი ტურფა ვარსკვლავნი აყვავდებიან, ვერცხლის თმებ გაშლილ ბადრ მთვარის ირგვლივ ბრწყინვალე ხომლათ ჩაებმებიან.

როს ცქვიტი სიო ყურებ დაცქვეტილ ყვავილთ ფერებს თავს დასტრიალებს და დამატკობელ ხმბთა ნარნართ ეტიტინება გრძნეულსა ზღაპრებს, როს მოჩუხჩუხე ჩანჩქერი მთისა ცრემლებით ნამავე კარდებ-სერებსა, ანც შეხეფებს სხავთა წაკადს შეურთავს ველზე მოარბენს ფერად მძივებსა.

ეშხით მორკმული მგოსან ბუღბუღი დაჰყეფს გრძნობითა და აჩქაიდება, მისი ჰანგები, ჰანგი ტრფობისა. ლალ ფრთებს აისხავს, ლაჟვარდს მისწვდება, მაშინ მეც მწარე სევდა მშორდება იმედის სხივნი გულში მწვდებიან, და ცრემლთა ფრქვევით მიმქრალ თვალეზზე შვების ცრემლები მიბრწყინდებიან.

ვრწმუნდები, რომ ვით მკაცრსა ზამთარში ტურფა ბუნება იცრცნება, სქკნება და გაზაფხულის სხივთა მოფრქვევით ზურმუხტის ჯუბით მოიქარგება, —

სწორეთ ვგრეთვე საქვეყნო საქმე ძლიერთა დევნით არა მარცხდება, და ახალ ძალთა აღმოცენებით შარავანდელით დაგვირგვინდება.

დ. თურღოსპირელი.

წერილები რედაქციისადმ.

I

ბ-ნო რედაქტორო!

დიდი თოვლის გამო ჩვენი სოფელი მოწყვეტილია მთელს ქვეყნიერობას. ამის გამო არც ერთი ჟურნალ—გაზეთი ჩვენამდე არ მოდის. (რასაკვირველია არც თქვენი ჟურნალი.)

ამიტომ გთხოვთ უარყოთ ცნობა, თქვენს ჟურნალში მოთავსებული, თითქო მე „15 იანვარს, ჩემი მოსწავლისათვის „მეტის აღერსით“, ყური მომეგლიჯოს“. ეს მტნარი სიცრუეა! მართალია მე სასწავლებელში წესრიგი მიყვარს და ამისათვის ღონისძიებასაც ვიგონებ, მაგრამ ჯერ ყური არავეს-

თვის არ მომიგლეჯია, ვინაიდან ეს არ შედის ჩვენს პროგრამაში. გარწმუნებთ, რომ არაფერი მაგის მავარი ჩემდამი რწმუნებულ სკოლაში არ მომხდარა და თუ ბავშვების მიერ გავრცელებულ ქორებს მიაქცევთ ყურადღებას, ეგ თქვენი ნებაა. ყურის მოგლეჯა არ შემეძლო 15 იანვარს მით უმეტეს, რომ იმ დღეს სრულიადაც არა ვყოფილვარ მთვრალი, როგორც ეს თქვენს ჟურნალში იქნება მოხსენებული. *)

ულრმესის პატივის ცემით თქვენდამი აღკურვილი ვარდენ სამკუდაშვილი.

მასწავლებელი შორაპნის მახრის სოფელ თ—რის ერთკლასიანი სკოლისა.

II.

ბ-ნო რედაქტორო! „ეშმაკის მახის“ ერთ ერთ ნომერში სწერია:

„აკაკავის ქართულ დრამატიკულ წრეს წკრისის ქარები დაემართა; მკურნალად კნ. ხიმშიაშვილისა მოიწვიეს, თუ რომ უშვლა“.

უნდა იყოს:

„აკაკავის ქართულ დრამატიკულ წრის ზეგებით წვერებს. ჯერ კიდევ კრიტიკა—შეუჩვენელთ. კნ. ხიმშიაშვილის უენიშვნებმა შიშის ქარები აუტეხეს, საჭიროა ექიმი. **)

III

პატივცემულო რედაქტორო!

პირველ ყოვლისა ვისურვებ თქვენს კარგათ ყოფნას და ბედნიერ ცხოვრებას ყოველი თქვენი კეთილითა და მოკეთებით და თუ საჭიროთ სცნობთ მოგახსენებთ, რომ ჩემ ძმას სრულიადაც არა ჰქონია მინდობილი შორაპნის სამკითხველოსათვის მოგროვებული ფული და რაკი არა ჰქონდა აბა სა-

*) დავამშვიდებთ ბ-ნ ვარდენ სამკუდაშვილს, *) რომ ჯერ ჯერჯერობით ჩვენ არავითარი ცნობა არ მიგვიღია მისი ყურთა მგლეჯელობის შესახებ და მაშასადამე არც უარის ყოფა შეგვიძლია რისიმე. არ დიდი თოვლიანობის გამო მართლაც ჩინებული შემთხვევა ეძლევა მასწავლებლებს დაუსჯელათ აგლიჯონ ყურები მოსწავლეებს. რედ.

**) ჩვენ ერთბაშად შორას ვართ სწეული დრამატიკული წრისაგან და რაც უფრო საჭიროა დაე ბ-ნმა „შიკრიკმა“ და ქ-ნმა ხიმშიაშვილისამ გამაარაკვიონ. შეიძლება წრეს მოსარჩენ პირიც არ უჩანს. რედ.

***) სიმშვიდისათვის უმჯობესი იქნებოდა ბ-ნ სამკუდაშვილს ერთი კული ჰქონოდა და კარგი კული.

ეშმაკი.

იდან შეეძლო გაეფლანგა, როცა რომ ის ფულე-
ბი აგერ ხუთი წელიწადია გაფლანგული კი არა
უკვე შექმულია და მასთან ჩემს ძმას არავითარი
კავშირი და დამოკიდებულება არ მიუძღვის, რო-
გორც სრულიად უდანაშაულოს და ჩირქ მიცე-
ბულს რომლის შესახებაც აქედან დარწმუნებული
ვარ თქვენს რედაქციას უკვე მიღებული ექნება
წერილი და ჩვენება ჩემი ძმის შესახებ ამა საქმეზე
წარმოებული.

უმორჩილესად გთხოვ არავითარი ყურადღება-

მიაქციოთ და უყურადღებოთ დატოვოთ იგი ცი-
ლის წამება ჩემი ძმის შესახებ.

ამასთანავე, რადგანაც სახელოსა და გვარის
მოწერა მიღებული არ არის ვაწერ ჩემს ფსელდომინს:
უზომოთ ნაწყენი.

გთხოვთ ჩემი ვინაობა არ გამოაშკარავდეს.*)

*) ასეთია საბრალო რედაქტორის ცხოვრება! ჯერ-
ჯერობით ჩვენ კი არა თვით შორიანულეებმა არ იციან: სად
არის, თუ ვინ გაფლანგა მოგროვილი ფული და პასუხს ჩვე-
ნა გვთხოვენ. ახირებულია სწორეთ. ჩვენც უზომოთ ნაწყენი
რულ.

მ უ მ ა კ ი ს რ

მ. მალაქიაშვილი.

ზეუსა ოთხ მოქმედებათ
და სუთ სურათად.

ბ უ დ ი ს კ ე ნ .

მ რ მ მ მ ე ღ ნ ი პ ი რ ნ ი .

დიმიტრი, -- 30 -- 35 წლის, ინტელიგენტი.

პეპელა, -- მისი ცოლი.

ნუნუ, -- ზეპუას ბიძაშვილი, მასწავლებელი.

ვახტანგი, -- ექიმია, ძაღვს ღამაზა.

კატო, -- მისი ცოლი.

გერასიმე, -- მეოთხე კურსის სტუდენტი

ვლადიმერი, -- ინტელიგენტი, ნახევრთ ლეკარული.

სამსონი, -- არაღლეკარული ინტელიგენტი.

სოსო, -- საღ გაზრდა ზოქტი.

მუშები მისამსახურები და მეზურნე -- მეთაქნია.

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს უბრალო ოთახს. ერთ კუთხე-
ში საწოლი ტახტი დგას, მეორეში წიგნებიანი შკაფი.
აქა-იქ კედლებზე სურათებია: მარქსის, ენკელსის,
ნანოშვილის, ეახბეგის, და სხვათა. ფარდის ხედისს
სცენაზე ათამდე მუშაა, მათ შორის დიმიტრიც და სო-
სოც არიან გავს კრება დაუსრულებიათ და იშლებიან.)

გამოსვლა I

(დიმიტრი და მუშები)

1-ლი მუშა. მაშ ასე სესიაჯან... ხვალ პირ-
ველ საათზე მოხვალ ჩემთან.

2-რე მუშა. ძალიან კარგი. გამიმეორე თვარა
არ მახსოვს!

3-მე მუშა. ამხანაგებო, ერთად ნუ გავალთ,
შეგვაძინევენ...

4-ზე მუშა. სიფრთხილვა საჭირო.

(ფაცურებენ. ზაღტოებს იცვამენ, ქუდებს ექებენ,
ქადაღებს აწყობენ ჯიბეში და სხვა)

დიმიტრი. ამხანაგებო, აბა თქვენ იციან, გაას-
კეცებული ენერგია უნდა გამოიჩინოთ... ვისაც რა-
მე დაგევალათ, იცით თუ როგორ უნდა ასრულდეს.

5-თე მუშა. ამას რაღა თქმა უნდა!

რამოდენიმე. რასაკვირველია... რასაკვირვე-
ლია...

2-რე მუშა. მაშ მშვიდობით, ამხანაგებო!

(ისმის; „მშვიდობით, ნახვამდის, არაფერი დაგრ-
ჩეს.“ ამ სიტყვებით იშლებიან. დიმიტრიც ატილებს
მათ. ოთახი ერთხანს ცარიელია, ამტვერებულია, აკვა-
მლებული.)

გამოსვლა II

(ნუნუ და ზეპელა)

პეპელა. (შემოდის წარბებ შეკრული) ტფუ!..
ტფუ!.. რასა გავს აქაურობა! რა ამბავია!..

ნუნუ. კინალამ დავიხრჩვი წედან. შენ რომ
არ გასულიყავი, არ ვიცი რა მომივიდოდა...

პეპ. ძლივს გავასწარი, იცი?

ნუნუ. კრებიდან რომ გაველით მგონი კიდევ
ეწყინათ.

პეპ. თუ ეწყინათ მწყერი დაიჭირონ! ღმერთო
ჩემო, რაღა დააობრეს და გაამუდრეგეს აქაურობა?..

რა უყო, რა მოუხერხო?! (წმენდს, ალაგებს)

ნუნუ. წარმოდგენაც არა აქვთ სიწმინდებზე.

პეპ. ერთი აგრე უთხარო დიმიტრის და აბა რა გითხრას! შენა ხარ ამ აზრის და მე არა?

პეპ. გამიჭირდა სიცოცხლე, გამიჭირდა...

ნუნუ. რათ არ ეტყვი მერმე დიმიტრის?

პეპ. ეტყვი! ყოველ წუთს მინდა ვუთხრა, მარა ვერ გამიბედნია... მეშინია ვაწყენიო, იქნებ რამ ცუდიც წამომცდეს... თუმცა სანამდე უნდა ვმალო და გულში ვიგუბო ეს უკმაყოფილება?... სანამდე?..

ნუნუ. არ ვარგა, რასაკვირველია, არ ვარგა! კოლქმარს შუა არაფერი დამალული არ უნდა იყოს.

პეპ. მომიყვები შენც ერთ დარიგებებს! განა ქმრის ხატრისათვის...

ნუნუ. რაო? ხატრისათვისო? რა არის ხატრი მათრი?! მე ყოველთვის იმას ვიქცევ, რაც მინდა და რაც მსურს! რას მიქვია ხვისისი...

პეპ. თქმა ადვილია; მეც მაგრე მეგონა, მარა არ შეიქნა, დატანჯული ვარ ადამიანი... ერთი ხეირიანი კაცი ჩვენსას არ მოდის. სულ მუშები მუშები... ისიც ჩუმათ... და თან კიდევ არა ლეგალური ამხანაგები... ერთის სიტყვით გადამიტანა იმათმა პატივისცემამ. სიწმინდე მათთან არ გადის, სისუფთავე. რალაც ორი ხელი საბანი მქონდა და ისიც დამიოხრეს, კაცს არ დაეხურება... შენ გეუბნები ამას, თორემ დიმიტრისთან...

ნუნუ. მგონი მოდის... მოდის. (შემოადის დიმიტრი).

გამოსვლა III

(იგინივე და დიმიტრი)

დიმ. (შემოაქვს გახეთი. თან წყნარათ მთავრის) აი ახალი გახეთიც, ქალბატონებო...

ნუნუ. ოპო! ასე ადრე დაბეჭდეს? მაჩვენე! (კითხულობს. ჰეპულა გაბუტუფიითა)

დიმ. რამ მოგაწყინა, ქალბატონო? დოყაზე ხელს ჩამოკანჯეს, ედამება)

პეპ. (ცოტათი წერება) რა ამბავია, ეხლა მნახე?

დიმიტ. (ესაუფარულება, აღიზანებას) ეხლა მნახე?.. ეხლა მნახე? (კიდევ გაუმოქრეს სსაიფარულო სილას)

ნუნუ. (წამოიფარებას) ა?... ეს... ეს... ა?..

დიმიტ. ხომ არ გავიყდი, ქალო? რა იყო?

ნუნუ. ხა... ხა... ხა...

პეპ. რაღა ბავშვივით ირჯები, ბეჩა, რა იყო?.. სთქვი?

ნუნუ. ხა .. ხა... ხა... დამეხსენით... დამეხსენით!.. (ხტის და ტეფქობს)

დიმიტ. იმე, ამ დროს იცის იმ დალოცვილი მა?... იმ გზა ბედნიერმა?

ნუნუ. თქვენი ჭირიმე !.. თქვენი ჭირიმე!.. ხა... ხა... ხა... სოსოს ლექსი, სოსოს ლექსი...

პეპ. მერმე რაა სასაცილო?

დიმიტ. არ ვიცი, ღმერთმანი!

ნუნუ. სასაცილო რა არის? ხა... ხა... ხა...

დიმიტ. ბიჭოს! განა ერთი ლექსი დაუსტამბავს, ან ორი?

ნუნუ. საქმე მაგაში არაა!.. ხა... ხა... საქმე იმაშია, რომ ლექსი ჩემთვის უძღვნია...

პეპ. როგორ? შენთვის უძღვნია?

ნუნუ. ხა... ხა... ხა...

დიმიტ. აა!.. აქ რაიმე მოწერტილობის საქმე ხომ არაა? ა? (იცინის).

პეპ. (იცინის) ალბათ, ალბათ...

ნუნუ. ხა... ხა... ხა... მარა თქვენი ჭირიმე არ სთქვით სადმე, არც მას აგრძნობინოთ... მე მასთან პირობა მაქვს დადებული, რომ არავის არ ვეტყვი, რომ ეს ლექსი მე მომიძღვნა და ახლა კი... ჩემდა უნებურათ... ხომ არსად იტყვიო, ა?

პეპ. არა.

დიმიტ. მაგის მეტი საქმე არა მაქვს.

ნუნუ. (ხტის) მაშ კარგი... კარგი... მარა... ხა... ხა... ხა... როგორ მეცინება .. ხა... ხა... ხა...

დიმიტ. წავიკითხოთ მაინც როგორი ლექსია.

პეპ. წავიკითხოთ.

ნუნუ. თქვენც არ მომიკვდეთ!.. არა... არა... მაგრამ წავიკითხოთ, წავიკითხოთ... მხოლოდ სიცილი არ ატეხოთ კი... მარა სანამ თავიდან დავიწყებდე; უკანასკნელ სიტყვებს წავიკითხავო. მისმინეთ: „მითხარ, ტურფავ, რით მოვიგო,

დავიმონო შენი გული,

ავათროლო წმინდა გრძნობით

ჩავნერგო შიგ სიყვარული?“.. ხა... ხა...

ეგ პირდაპირ წინადადების გაკეთებაა!.. პირდაპირ!..

დიმიტ. კარგი, ადამიანო, გადაგვატანე შენც ერთი! წაიკითხე რალა!

ნუნუ. არა, არ შეიძლება... შემრცხვება... მაქვს... ხა... ხა... ხა... საწყალი ბიჭი... პირდაპირ წინადადებას მიკეთებს! ხა... ხა... ხა...

დიმიტ. რა ამბავია? რათ იცინი აგრე? თითქმის დასცილიო.

ნუნუ. რასაკვირველია, მეცინება.

დიმიტ. რათა, რისთვის?

პეპ. რა იცი, რომ ნამდვილათ ეს ლექსი შენ

გიძღვნა?

ღუნუ. ჩემია, მე უთხარი ხუმრობით მიძღვე-
ნითქო და იმასაც უძღვნია. „უძღვენი ნ-ო“ აწერს. აი
ნახეთ...

ღიმიტ. შენ სთხოვე ეძღვნა და შენვე დასცინი?

ღუნუ. არ დავსცინი, მარა მინც მეცინება...
მეცინება... ამას როგორ ვიფიქრებდი? ხა... ხა... ხა...

ღიმიტ. ეხ, შენსას ვერც ასავალს გაიგვეს კა-
ცი და ვერც დასავალს! პეპელა ჩემო, სადაა ჩემი
ქული? რედაქციაში უნდა შევიარო, ეხლავე მო-
ვალ. (ქუდს ეკებენ ორთავე)

პეპ. დაოხრებულია აქაურობა, დამტვერული,
დატალახებული...

ღიმიტ. დაგავი. ხელები ხომ მაგისათვისაა.

პეპ. დაგავი! მიბრძანა! რკინის ხელები კი არა
მაქვს. (ქუდს მონახავს)

ღიმიტ. კარგი, კარგი! მომეცი ქული. (ისუწავს
და მიდის) ჯერჯერობით ნახვამდის, ქალებო!

(შემდეგი იქნება)

ფიქსა

ფორაპანი. პოლისინეს ნათლულს.

თქვენი „მესტიერული“ ორივეჯერ მივიღეთ,
მაგრამ დაბეჭდვას ვერა ვებედავთ. ბ-ნმა ეშმაკმა
განკარგულება მოახდინა: გიჩვენოთ თქვენ, სანიმუ-
შოდ, ზომიერება ლექსთა წყობისა. რასაკვირველია
თქვენივე მესტიერულიდან.

თითოეული სიტყვა იყოფება ეგრეთ წოდებულ
„მარცვლებათ“, ანუ უკეთ ვსთქვათ, ყოველგვარი
სიტყვა შესდგება ერთის, ორის, ან რამოდენიმე
„მარცვლებისაგან“. თითოეულ „მარცვალში“ არის
ერთი ხმოვანი *) ასო და ერთი ან რამოდენიმე
უხმო. ზოგჯერ ერთ მარცვალს მარტო ერთი ხმო-
ვანი ასოც კი შეადგენს. ახლა მოისმინეთ თქვენი
„მესტიერული“, მარცვლებათ დაყოფილი.

„დი-დი ხა-ნი-ა მინ-დო-და = 8 მარცვალი.

ხელ-ში ჩა-მეგ-დო სტე-რი ქა-მან-ჩა=10

და ის მე-ამ-ბო მე თქვენთვის=8

რაც მცხოვრებ-თა თავ-ზე გა-დახ-და=9

როგორც თქვენი ბედნიერი თვალებით ხედავთ
აქ, ამ ერთ პატარა ტაეპში, დიდი არეულობაა მარ-
ცვალთა შორის. ერთ სტრიქონში რომ 8 მარცვა-
ლია, მეორეში 10, მესამეში რვა და მეოთხეში
ცხრა. ასეთი ოღრო-ჩოღრო გზა ძლიერ აფერხებს
მუხის თავისუფალს მსვლელობას და ალბათ ამიტოა,

*) ხმოვანი ასო ქართულ ენაში სულ ხუთია: ა, ე, ი, ო, უ. ესეც საჭიროა იცოდეს პოეტმა.

ეშმაკი

მაც ეგრე კოკლობს თქვენი პოეზია ნარდის და
კარტის თამაშის შესახებ.

«მაგრამ არ იქნა ვერ მოვასწარი
ეშმაკმა ღირსი არა მქნა
და მისი ჯავრით გუშინ, წინ
კინალამ სული ამომხდა.»

უნდა გამოვიტყდეთ, რომ ეშმაკს ვერ უსაყვე-
დურებთ ამ ძალადობას და ამასთანავე გაფრთხილე-
ბთ, რომ ის ისეთი ბოროტი არსებაა, რომელსაც
სრულიადაც არ შეაწუხებდა თქვენი მეორე ტაეპის
უკანასკნელი სტრიქონი თუნდაც გამართლებუ-
ლიყო.

ბათუმი კ. ბ. ძეს. თქვენი ლექსი ალბათ ამ
უჩვეულო ზამთრის ნაყოფია, თორემ ასე გრძელი
სათაურისათვის სხვა დროს ვერც თქვენ მიიცილიდით. *)
„არავის აქვს ნება რომ დაუშალოს რაკი მისია.“

აი, მაგალითად, ლექსი თქვენია, მარა ჩვენ
გვაქვს უფლება დაგიშალოთ მისი დაბეჭდვა. თუ
ჩვენს რჩევას დაიჯერებთ, რაშიაღც დიდი ეჭვი გვა-
ქვს, სულაც რომ დაიშლიდეთ პოეტობას უმჯობე-
სი იქნება.

სადმი ლადო ჭყონდიდელს. თქვენი ლექ-
სი „ღამე“ ერთობ პოეტურია, რა თქმა უნდა თავი-
სუფლების მხრივ პოეტი სინამდვილეს იშვიათად
დაგიდევს მას შეუძლია, თუ რასაკვირველია საჭი-
როება მიითხოვს, ბუღბული აყროყინოს და ვირი
აქიკიკოს ანუ აყეფოს, თქვენი ლექსი ასე იწყება
„ლაქვარდ ცაზე ვარსკვლავი კრთის,
მთვარე ბრწყინავს, ელვარებს. კრთის!“

საქმე იმაშია, ბ-ნო ჩემო, რომ მთვარეზე არ
იტყვიან ბრწყინავსო. ბრწყინავენ მხოლოდ ის მნა-
თობები, რომლებსაც საკუთარი სინათლე აქვთ აი
მაგალითად მზე ბრწყინავს მთვარეზე არ იტყვიან
„ამობრწყინდა მთვარეო“. მზის შესახებ ერთი მგო-
სანი აი რას ამბობს: „ამობრწყინდა მზე დიდებუ-
ლათა და განანათლა ქვეყანა ბნელი“. თვით მგოს-
ნებზედაც ითქმის და იხნარეა ეგ სიტყვა არა
ერთგვარად.

სუფსა ე—შვილს. სულ რომ არაფერი
ვთქვათ, თქვენ იწყებთ: არა კადრულობენ ჩემს
ლექსებსო და ამიტომ სანიმუშოთ მოვიყვანთ რამო-
დენიმე ტაეპს:

„სუფსის რაინდებს“

«შემოკრბენ სუფსის რაინდნი,
ამაზე ქონდათ მსჯელობა:

*) გ⁴ ძელი სათაურები ნეტარ ხსენებულ ტიტე ართმე-
ლაძესაც ძალიან უყვარდა.

ეშმაკი.

კ. 1582
1911

ლოთობა არის, თუ კარტი
სუკეთესო ხელობა.

რათ გვინდა ჟურნალ ვაზეთი
ან მათი წამკითხველობა,
ისა სჯობიჯ ამ ქვეყნათ,
მუდმი ც იყოს ბნელობა.
მტრებთან მოყვრობა აჯობ ბს,

მოყვრებთან კუდა მელობა ..
და არ იკარგებს, ეშმაკ,
ამათი დაუსჯელობა.»

ჩვენ კიდევ კარგი, უცხონი და შორებლები
ვართ, მაგრამ სუფსელი რაინდები განა მოგიწო-
ნებენ ასეთს ლექსს?

რედაქტორ გამომცემელი ბაიროზ ჯაჭვაცაძე

თფილისის მომხმარებე „ი საზოგადოების „ეშმაკის მახე“-ს

დამფუძნებელნი ამით ცხადებენ, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცებულია
მთავრობის მიერ და ანა უკვიანეს ოცი დღისა, მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრე-
ბა. მანამდე კი წვეწრათ ჩაწერა შეიძლება თფილისის საქონლის სადგურსე. მუშათა არტე-
ლის კანტორაში, ვარლამ დოლიძესთან. - 3—2

მიიღება ხელის მოწერა ეოველ-კვირეულ ეუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მახე“ - ზე

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზრდა მწერლნი.

მთელი წლ თ ჟურნალი ღირს 5 მანეთი.

1 1/2 წლით — — 2 მან. 50 კაპ.

3 თვით — — 1 მან. 50 კაპ.

1 თვით — — — 50 კაპ

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ჟურნალში მიიღება აგრეთვე განცხადებებიც:

მთელი გვერდი 10 მანეთი.

1/2 გვერდი 5 „ „

1/4 გვერდი 3 „ „

თვიურსა და წლიურ განცხადებას ფასი რედაქცითან მორიგებით აკლდება.

ყოველგვარი წერილები, აგრეთვე ჟურნალის დასაკვეთი ფული, უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე:

Тифлисъ. Тип графія Е. Кереселидзе для жур. „ЕШМАКИСЪ МАХЕ“.